



სსიპ საზოგადოებრივი
კოლეჯი „აისი“
LEPL COMMUNITY
COLLEGE "AISI"

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2014-2020 წლები

ს. კაჭრეთი

შინაარსი

1. შესავალი
2. პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა
3. მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 3-6 წლის განმავლობაში
4. საზოგადოებრივ კოლეჯში არსებული მდგომარეობის ანალიზი
 - 4.1. საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ საქმიანობის სამართლებრივი ბაზა
 - 4.2. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა
 - 4.3. კოლეჯის მართვა
 - 4.4. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები
5. სტრატეგიული მიზნები, აქტივობები, მოსალოდნელი შედეგები და პრიორიტეტები
 - 5.1. სტრატეგიული მიზნები
 - 5.2. აქტივობები
 - 5.3. მოსალოდნელი შედეგები
 - 5.4. პრიორიტეტები
6. ხედვა და მისია
7. პროფესიული განათლების გარემო
 - 7.1. კოლეჯის ახალი ინიციატივები
 - 7.2. პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევები
8. კოლეჯის რესურსების ანალიზი და პროფესიული გარემოს შეფასება (S W O T)
9. სტრატეგიის დანერგვის ფინანსური ხარჯები
10. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა
11. სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება
12. სტრატეგიის განხორციელების შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირების ღონისძიებები

1. შესავალი

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ განვითარების 2014–2020 წლების სტრატეგია კოლეჯში პროფესიული განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტია. მისი მიზანია გამოკვეთოს პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, რომლითაც საზოგადოებრივი კოლეჯი იხელმძღვანელებს განვითარების პროცესში. სტრატეგია წარმოადგენს კოლეჯის ადმინისტრაციის ხედვას და სრულ თანხვედრაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების სამომავლო განვითარების ხედვასთან.

სტრატეგია შემუშავებულია დაინტერესებულ მხარეებთან ფართო კონსულტაციის საფუძველზე. მასში ასახულია დამსაქმებლების, პროფესიული განათლების სპეციალისტების, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლების ექსპერტული მოსაზრებები.

სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, რომლებმაც ქვეყანაში სიღარიბის შემცირებას, თანასწორობასა და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობას და ჩამოყალიბებას უნდა შეუწყოს ხელი; ასევე ის ფართო რეფორმები, რომლებიც უკავშირდება ეკონომიკის დინამიურ ზრდასა და განვითარებას. სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა ეროვნული და სექტორული პრიორიტეტები, განათლების, განსაკუთრებით კი პროფესიული განათლების ამჟამინდელი გამოწვევები და მათი გადაჭრის ევროპული თუ სხვა ქვეყნების გამოცდილება; სტრატეგია ასევე ასახავს იმ ცვლილებებს, რომლებიც ევროკავშირისა და მისი მეზობელი ქვეყნების განათლების და მათ შორის პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარაობს.

სტრატეგია მოიცავს ინკლუზიური განათლების, ადამიანის და ბავშვთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის პრინციპებს. სტრატეგიის მიხედვით საზოგადოების ყველა ფენის უფლებაა მიიღოს პროფესიული განათლება, მიუხედავად მისი ამჟამინდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, თუ საცხოვრებელი ადგილისა.

სტრატეგიაში ჩამოყალიბებულია პრიორიტეტები და მიზნები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით ხელი უნდა შეუწყოს კოლეჯის ადამიანური რესურსების მდგრად გაუმჯობესებას (შესაძლებლობებისა და პოტენციალის განვითარებას, დასაქმების თუ თვითდასაქმების შესაძლებლობას, შემოსავლის მიღებას და თვითრეალიზებას) და შრომის ბაზრის ამჟამინდელი თუ სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებით რეგიონის ეკონომიკურ განვითარებასა და სიღარიბის შემცირებას.

სტრატეგიის წარმატებით განხორციელება მხოლოდ კოლეჯის პასუხისმგებლობა ვერ იქნება, არამედ საჭიროა სამინისტროსა და სააგენტოების, დამსაქმებლების, დასაქმებულებისა და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების, კოლეჯის მასწავლებლების, სტუდენტებისა და მათი მშობლების და მთლიანად, სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა.

2. პროფესიული განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობა

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მთელს მსოფლიოში მკაფიოდ გამოისახა საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ახალი გლობალური ტენდენციები, რამაც კოლეჯების მართვის, სწავლებისა და სწავლის ძირეული გარდაქმნა მოითხოვა. კოლეჯებს თავისი საქმიანობის წარმართვა უწევთ მეტად კონკურენტულ გარემოში, შესაბამისად მეტი ძალისხმევა არის საჭირო კონკურენტუნარიანი კადრის მოსამზადებლად. მკაცრი კონკურენციის გარემოში კოლეჯების წარმატებული ფუნქციონირების ერთადერთი წინაპირობაა მათი მართვის და საქმიანობის ძირეული ტრანსფორმაცია. დინამიური გარემო საშუალებას არ იძლევა შევჩერდეთ მიღწეულ შედეგებზე, სხვა სიტყვებით, გარდაქმნის არსი კოლეჯის მართვის ადაპტირებადი სისტემის შექმნაში მდგომარეობს. ასეთი მოქნილი სისტემის შექმნის საფუძველია სტრატეგიული გეგმის შემუშავება და მისი იმპლემენტაციის მეთოდების გამოყენება.

„პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის თანახმად პროფესიული განათლების სისტემა საკმაოდ ელასტიურია, გაიხსნა და ხელმისაწვდომი გახდა სხვა სამიზნე ჯგუფებისთვისაც, კერძოდ კი ზრდასრულებისათვის, რაც თავის მხრივ ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარების საუკეთესო წინაპირობაა. სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში – თანამედროვე განვითარებული სამყაროს სტრატეგიული მიზნის, ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის მშენებლობის ფუძემდებლური პრინციპია. კანონში დიდი ყურადღება ეთმობა სახელმწიფოს შრომითი რესურსების კვალიფიკაციათა განსაზღვრის საკითხს. პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე შეუქცევადი რეფორმები დადებითად აისახება პროფესიული განათლების განვითარებაზე. ძირეულად შეიცვალა მიდგომები, გატარდა აუცილებელი ღონისძიებები:

- მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო;
- რეგისტრაციაში გატარდა პროფესიული სტანდარტები;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო აღწერს ქვეყანაში აღიარებულ ყველა პროფესიას, შესაბამისი უნარ-ჩვევების, კომპეტენციებისა და კვალიფიკაციის დონეების ჩვენებით მომზადდა თითოეული პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის საატესტაციო ორგანოთა შერჩევის წესი;
- შემუშავდა და განხორციელდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი კოლეჯების ინსტიტუციური, მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობი პროგრამები;

პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისთვის სერიოზულ რესურსად არიან წარმოდგენილნი სხვა სტრუქტურული ერთეულებიც, როგორცაა:

- ❖ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი;
- ❖ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ;

- ❖ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი;
- ❖ რესურს ცენტრები.

„პროფესიული განათლების შესახებ“ კანონი ასევე ცნობს ალტერნატიული სტანდარტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების აღიარების მექანიზმსაც. აღნიშნული ალტერნატიული მექანიზმი გზას გაუხსნის ასეთი პროგრამის მქონე საგანმანათლებლო დაწესებულებას სახელმწიფო დაფინანსებისკენ, ხოლო მის კურსდამთავრებულებს – მათი კვალიფიკაციის ფორმალური აღიარებისკენ. ასევე კანონი ითვალისწინებს სპეციალისტებისთვის კვალიფიკაციის მინიჭების ალტერნატიულ შესაძლებლობებსაც. არაფორმალური პროფესიული განათლება გულისხმობს პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების დაუფლებას სპეციალური სასწავლო დაწესებულების და სტრუქტურული სწავლების მიღმა. ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა რეფორმებმა განაპირობა მზარდი მოთხოვნა კვალიფიციურ და პროფესიულ კადრებზე. მოსახლეობას გაუჩნდა სურვილი გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების. პროფესიულ კოლეჯებს მიმართავენ როგორც საბაზო განათლების, ასევე უმაღლესი განათლების მქონე პირები. ქვეყანაში არსებული მაღალი უმუშევრობის დონის გამო, არსებულ ვაკანსიებზე მაღალი მოთხოვნა ფიქსირდება, რაც თავისთავად განაპირობებს შრომით ბაზარზე მაღალ კონკურენციას და ცოდნის და კვალიფიკაციის გაზრდის მოტივაციას. დღევანდელი კვლევების მიხედვით ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება მშენებლობის, სოფლის მეურნეობის, მომსახურების და ტურიზმის სფეროებში. მშენებლობის სფეროში ორგანიზაციების მხრიდან მოთხოვნადი პროფესიებია: კალატოზი, მეფილე, მებათქაშე, შემდუღებელი, ელექტრომემონტაჟე, სანტექნიკოსი. სოფლის მეურნეობაში - მეღვინე, მევენახე, ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი; ტურიზმის სფეროში ყველაზე დიდი მოთხოვნა ფიქსირდება სასტუმრო საქმის სპეციალისტზე, , ტურ-ოპერატორზე და გიდზე; მომსახურების სფეროში მოთხოვნადი პროფესიებია: მიმტანი, ბარმენი, სტილისტი, ძიძა, ძრავების შემკეთებელი. ხელოვნების სფეროდან-თექის ხელოსანი, დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების განვითარების მხრივ ერთ-ერთი ძირითად ხედვას წარმოადგენს სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, რაც თავისთავად პოზიტიური მოვლენაა, მაგრამ კოლეჯებში არსებული მასწავლებლები მოუმზადებლები არიან ზრდასრულ ადამიანებთან ადექვატურად სამუშაოდ. ასეთ პირობებში კი შეუძლებელია შრომის ბაზრის მოწესრიგება და სათანადო კადრებით არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილება. პროფესიული მომზადების ხარისხი დამოკიდებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე. სასურველია გადამზადების პროგრამების გავლა პროფესიულ კოლეჯებში მომუშავე მასწავლებლებისათვის. ამჟამად პროფესიული კოლეჯების 60 %-ს გავლილი აქვს სხვადასხვა ტიპის ტრენინგი. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არსებობს მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების მუდმივმოქმედი სისტემა. ქვეყანაში არსებული უმაღლესი სასწავლებლები არ ამზადებენ პროფესიული სწავლების მასწავლებლებს, რის გამოც კოლეჯებში ახალგაზრდა მასწავლებელთა სიმცირე აღინიშნება, თუმცა კოლეჯის „აისი“ პედაგოგიური კადრების საშუალო ასაკი 40 წელს

შეადგენს. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და გადამზადება შესაძლებელია მხოლოდ ცალკეული პროექტების ფარგლებში. პროფესიული განათლების სისტემა ათწლეულების განმავლობაში არაპრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენდა, სადაც არც სიახლეების დანერგვა ხორციელდებოდა და შესაბამისად არც რეფორმების გატარებას ქონია ადგილი. ამის გამო მწირია გამოცდილება ისეთ საკითხებში, როგორცაა სოციალურ პარტნიორობის აქტიური ჩართულობის მექანიზმები, პროფესიული სტანდარტები და კვალიფიკაციები, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და მათი შეფასება, პერსონალის მომზადება/გადამზადება და სახელმძღვანელოებისა და საწავლო მასალების შემუშავება/შეფასება. კანონის მიხედვით, პროფესიულმა კოლეჯებმა ინსტიტუციური ავტორიზაცია უნდა გაიარონ. ავტორიზაციის მიზანია დაწესებულების რესურსული შესაძლებლობების შესაბამისობის დადგენა სტანდარტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან. დღეისათვის ქვეყანაში უკვე არსებობს ხარისხის კონტროლის მექანიზმი ინსტიტუციურ და პროგრამულ დონეზე. ყოველწლიურად იხვეწება და სრულყოფილი ხდება ამ მხრივ მიდგომები რაც ხელს უწყობს სისტემის განვითარებას.

3. მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები 3-6 წლის განმავლობაში

კახეთის რეგიონში არსებული ხელსაყრელი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით პრიორიტეტული მიმართულებებია მევენახეობა და მეღვინეობა, რომელიც განმსაზღვრელი და ეკონომიურად მეტად მნიშვნელოვანი დარგია. ასევე პრიორიტეტულ მიმართულებად ითვლება რეგიონში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობის აღორძინება. კახეთში არსებობს საკმაოდ იაფი სანედლეულო ბაზა საკონსერვო წარმოების განვითარებისთვის, მით უფრო, რომ რეგიონში ამის საკმაოდ დიდი გამოცდილებაა. სანედლეულო ბაზის ძირითადი კულტურებია ყურძენი, ატამი, მარწყვი. რეგიონში მნიშვნელოვანი პერსპექტივები გააჩნია ხე-ტყის წარმოება-გადამამუშავებას. კახეთის ტყეები მდიდარია წიფელით, ასევე მრავლადაა წაბლი, მუხა და სხვა ძვირფას მერქანიანი ჯიშები. მხარეში ასევე მნიშვნელოვან პრიორიტეტად ითვლება ტურიზმის განვითარება. ტურიზმი თავისი არსით დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორცაა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობა და ეკოსისტემა. კახეთში ეს სისტემები მშვენივრადაა შენარჩუნებული: მოსახლეობა სისხლხორციელად დაკავშირებულია ღვინოსთან; თითქმის ნებისმიერ კახურ ოჯახს აქვს საშუალება დაინტერესებულ მხარეს შესთავაზოს ნატურალური ღვინო; მხარეში ფუნქციონირებს ათობით ქარხანა, რომლებსაც გააჩნიათ ფართო ასორტიმენტის ღვინო და კონიაკი. ამასთან, ღვინის ქარხნები ახორციელებენ ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას მათ შორის, სადგეუსტაციოებს, სასტუმროებს, აგრეთვე მომსახურების ისეთ ობიექტებს, სადაც ტურისტი სურვილის შემთხვევაში ადგილზე გადაიხდის თანხას და ღვინის კომპანია უზრუნველყოფს პროდუქციის გაგზავნას მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. ყოველივე ეს კარგ საფუძველს ქმნის ღვინის ტურიზმის

განვითარებისათვის. ტურიზმის განვითარება მხარის მოსახლეობის ფართო ფენებს საშუალებას მისცემს, დაკავდნენ ტურისტული მომსახურების სფეროში და იმავდროულად გააგრძელონ საქმიანობა სოფლის მეურნეობაში, სადაც არის მოსახლეობის დასაქმების დიდი პოტენციალი. მხარის ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე, ტურიზმის განვითარების ერთერთ გზად მიიჩნევა სამონადირეო მეურნეობის შექმნა და საცხენოსნო ტურიზმის განვითარება.

4. საზოგადოებრივ კოლეჯში „აისი“ არსებული მდგომარეობის ანალიზი

4.1. საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ საქმიანობის სამართლებრივი ბაზა

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც დარეგისტრირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და იუსტიციის სამინისტროს მიერ. კოლეჯის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. კოლეჯი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და შეთანხმებით, „პროფესიული განათლების შესახებ“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონებით, ასევე სხვა ნორმატიული აქტებითა და კოლეჯის წესდებით. კოლეჯის ყველა თანამშრომელი ხელმძღვანელობს დამტკიცებული შინაგანაწესით მათზე დაკისრებული ფუნქციონალური მოვალეობებიდან გამომდინარე და სამტატო განრიგის შესაბამისად. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ბეჭედი და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

კოლეჯის მთლიანი სამტატო განრიგი შეადგენს 102 სამტატო ერთეულს. ჯამში სახელფასო ფონდი შეადგენს თვეში 61102 ლარს. (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

პოზიცია	სამტატო ერთეულის რაოდენობა	სულ თვეში სახელფასო ფონდი	სულ წელიწადში სახელფასო ფონდი
დირექცია	2	3100	37200
ადმინისტრაცია	19	14350	172200
დამხმარე და მომსახურე პერსონალი	39	16500	198000
მასწავლებელთა რესურსი	42	27152	325824
სულ	102	61102	733224

4.2. კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ მდიდარი ტრადიციების მქონე სასწავლებელია, რომელიც საქართველოში აგრარული, ინჟინერიის, ბიზნეს ადმინისტრირების, ჯანდაცვის და

ხელოვნების სფეროს კადრების მომზადების ერთ-ერთ ძირითად კერას წარმოადგენს. 2007 წლიდან კოლეჯში მეტად მნიშვნელოვანი გარდაქმნები მიმდინარეობს, რაც მოიცავს როგორც ადმინისტრაციული სტრუქტურის რეორგანიზაციას, ასევე სასწავლო პროცესების თვისობრივ გარდაქმნას, განახლებას და ინფრასტრუქტურის სრულყოფას. სწორედ ამ ძირითადი კომპონენტების ინტეგრაცია უდევს საფუძვლად კოლეჯის ძირითად საქმიანობას.

საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ განთავსებულია სპეციალურ კომპლექსში, რომელსაც უკავია 12 ჰა ტერიტორია. აქვს რამდენიმე ძირითადი ნაგებობა: სასწავლო, საყოფაცხოვრებო და საერთო საცხოვრებლის კორპუსები, ღვინის სახლი და ავტოსარემონტო სახელოსნო. პრაქტიკული სწავლებისათვის მოწყობილი და აღჭურვილია სახელოსნოები, აგრარული ტურიზმის ობიექტები, მეცხოველეობის თანამედროვე ფერმა, საფუტკრე მეურნეობა, მინი საკონსერვო საწარმო.

ამჟამად კოლეჯი წარმოადგენს თანამედროვე დონეზე რეაბილიტირებულ, ახალი ტექნოლოგიებით აღჭურვილ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას. აგრარული სფეროს პროფესიებისთვის, ადგილზეა პრაქტიკული მეცადინეობის ბაზები, კეთილმოწყობილია სპორტული კომპლექსი. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოეწყობა თანამედროვე კაბინეტ-ლაბორატორიები. სრულად შეიცვალა სასწავლო ინვენტარი. კოლეჯს აქვს 300 სტუდენტზე გათვლილი კეთილმოწყობილი საერთო საცხოვრებელი და სასტუმრო როგორც სტუმრებისათვის ასევე ტურიზმის პროფესიული სწავლებისათვის.

სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი კოლეჯში გაერთიანებული დედოფლისწყაროს და ქვემო ალვანის სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აღსადგენად, რაც საჭიროებს დიდ ფინანსურ სახსრებს, რისი საშუალებაც კოლეჯს ამჟამად არ გააჩნია.

4.3. კოლეჯის მართვა

საზოგადოებრივი კოლეჯის მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა ხდება საქართველოს კანონმდებლობისა და კოლეჯის წესდების შესაბამისად. კოლეჯის უმაღლესი მართვის ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება 5 წევრისაგან. კოლეჯის მართვაში აქტიურად ჩაბმულია მასწავლებელთა ფორუმი, რომელიც მუშაობს წინასწარ განსაზღვრული გეგმის მიხედვით. სასწავლო პროცესის მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დარგობრივი მეთოდური განყოფილებები.

4.4. კოლეჯში არსებული სასწავლო პროგრამები:

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მისანიჭებელი კვალიფიკაცია და კვალიფიკაციის კოდი	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული / აკრედიტებული)
1	ვეტერინარული	ვეტერინარული	70	მესამე	ავტორიზებული

	მომსახურების სპეციალისტი	მომსახურების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010251			
2	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -010251	45	მეოთხე	ავტორიზებული
3	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010251	30	მეხუთე	ავტორიზებული
4	მელვინე	მელვინის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010459	60	მესამე	ავტორიზებული
5	მელვინე	მელვინის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010459	20	მეოთხე	ავტორიზებული
6	მელვინე	მელვინის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010459	25	მეხუთე	ავტორიზებული
7	მევენახე	მევენახის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010154	45	მესამე	ავტორიზებული
8	მევენახე	მევენახის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010154	30	მეოთხე	ავტორიზებული
9	მევენახე	მევენახის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010154	30	მეხუთე	ავტორიზებული
10	მზარეული	მზარეულის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010463	45	მეორე	ავტორიზებული
11	ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი	ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010451	60	მესამე	ავტორიზებული

12	გიდი	მესამე საფეხურის გიდის/ადგილობრივი გიდი პროფესიულ კვალიფიკაცია -020551	60	მესამე	ავტორიზებული
13	მიმღებ რეცეფციონისტი	მიმღები - რეცეფციონისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -020555	45	მესამე	ავტორიზებული
14	სასტუმრო საქმის მწარმოებელი	სასტუმრო საქმის მწარმოებელის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -020553	60	მესამე	ავტორიზებული
15	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - ტურისტული მომსახურების დაჯავშნის სპეციალისტი -020552	60	მესამე	ავტორიზებული
16	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია - ტურისტული პროდუქტის გაყიდვის სპეციალისტი-020552	60	მეოთხე	ავტორიზებული
17	ტუროპერატორი	ტუროპერატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -020552	60	მეხუთე	ავტორიზებული
18	დურგალი	მესამე საფეხურის დურგლის პროფესიული კვალიფიკაცია-040952	60	მესამე	ავტორიზებული
19	დურგალი	დურგლის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-040952	60	მეოთხე	ავტორიზებული
20	დურგალი	დურგლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -040952	60	მეხუთე	ავტორიზებული
21	ელექტრიკოსი	ენერგეტიკოს-მერმონტაჟის მესამე საფეხურის პროფესიული	60	მესამე	ავტორიზებული

		კვალიფიკაცია --040557			
22	კალატოზი	კალატოზის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -040652	45	მესამე	ავტორიზებული
23	მებათქაშე	მებათქაშის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -040653	45	მესამე	ავტორიზებული
24	მეფილე-მომპირკეთებელი	მეფილე-მომპირკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-040654	45	მესამე	ავტორიზებული
25	სავალი ნაწილის ტექნიკოსი	სავალი ნაწილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -040769	60	მესამე	ავტორიზებული
26	ძრავის შემკეთებელი	ძრავის შემკეთებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -040770	60	მესამე	ავტორიზებული
27	ტრაქტორისტ-მემანქანე	ტრაქტორისტ-მემანქანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-041551	45	მესამე	ავტორიზებული
28	მეფუტკრე	მეფუტკრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010353	75	მესამე	ავტორიზებული
29	კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსი	კომპიუტერული ქსელების და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-040154	70	მესამე	ავტორიზებული
30	ექთნის თანაშემწე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-090151	90	მესამე	ავტორიზებული
31	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი	დეკორატიულ-გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-080359	45	მესამე	ავტორიზებული

32	თექის ხელოსანი	თექის ხელოსანის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-080364	60	მესამე	ავტორიზებული
33	ფარმაცევტის თანაშემწე	ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -090351	120	მეხუთე	ავტორიზებული
34	მხატვარ-შემსრულებელი	მხატვარ-შემსრულებლის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-080651	20	პირველი	ავტორიზებული
35	მხატვარ-შემსრულებელი	მხატვარ-შემსრულებლის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-080651	20	მეორე	ავტორიზებული
36	მხატვარ-შემსრულებელი	მხატვარ-შემსრულებლის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-080651	20	მესამე	ავტორიზებული
37	მემინანქრე	მემინანქრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-080355	35	მესამე	ავტორიზებული
38	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის პირველი საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -080365	15	პირველი	ავტორიზებული
39	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მეორე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -080365	15	მეორე	ავტორიზებული
40	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტი	კერამიკული ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია -080365	30	მესამე	ავტორიზებული
41	მევენახე-მელვინე (მოდულური)	მევენახე-მელვინე (ვენახისა და მარნის სპეციალისტი)	87	მესამე	ავტორიზებული
42	ფერმერი (მოდულური)	ფერმერი (სპეციალისტი)	93	მეოთხე	ავტორიზებული
43	მეხილე (მოდულური)	მეხილის მესამე საფეხურის	49	მესამე	ავტორიზებული

		პროფესიული კვალიფიკაცია-010157			
44	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი (მოდულური)	ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია-010251	76	მეოთხე	ავტორიზებული
45	ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი (მოდულური)	ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი-010451	57	მესამე	ავტორიზებული

კოლეჯის ადმინისტრაცია და გამოცდილი მასწავლებელთა გუნდი მუშაობს სასწავლო პროგრამების სისტემატიურ სრულყოფასა და დახვეწაზე. ამჟამად მიმდინარეობს მოდულური სწავლების სრული პილოტირება სოფლის მეურნეობის ოთხ პროფესიაში-მევენახე-მელვინე, ფერმერი, ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი, ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტი.

5. სტრატეგიული მიზნები, აქტივობები, მოსალოდნელი შედეგები და პრიორიტეტები

12.1. სტრატეგიული მიზნები

საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ 2014-2020 წლების განვითარების სტრატეგიის ზოგადი მიზნებია:

- კოლეჯის ადამიანური რესურსების, მაღალი ხარისხის პროფესიული უნარების განვითარება, რათა შესაძლებელი გახდეს ქვეყნის მოკლევადიანი, საშუალო და გრძელვადიანი შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება.
- საზოგადოების ყველა ფენის პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მათი პიროვნული თვითრეალიზებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.
- სოციალურად დაუცველი და მოწყვლადი მოსახლეობის ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში ჩართვისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა.

განვითარების სტრატეგიის კონკრეტული მიზნებია:

- კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარება, მატერიალურ - ტექნიკური ბაზის და ადამიანური რესურსების განვითარება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის პროფესიული კომპეტენციების განვითარებას, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას ;

- კარიერის მდგრადი განვითარებისა და თვითრეალიზაციის პერსპექტივით მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების სრული და თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მათი მომზადება დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის.
- სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯს მოიზიდოს დამატებითი ფინანსური სახსრები და ასევე ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების გაღრმავებაში.
- ხელოვნების სფეროს პროფესიების განვითარება
- ტურისტული ინფრასტრუქტურის კიდევ უფრო მაღალ დონეზე მოწყობა, საცხენოსნო ტურიზმის და აგრარული ტურიზმის, როგორც პრიორიტეტული მიმართულებების განვითარება.

5.2. აქტივობები

მიზანი I:

მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება და განვითარება

1.1: მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაზრდა და სასწავლო-საწარმოო საქმიანობის წარმართვა;

1.3: დედოფლისწყაროს და ალვანის ფილიალებში შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია პირველი შედეგის მისაღებად საზოგადოებრივმა კოლეჯმა უნდა განახორციელოს შემდეგი აქტივობები:

- მოახდინოს უკვე არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზის ვარგისიანობის და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის ანალიზი;

- გააკეთოს კატეგორიებად აღრიცხვა სასწავლო და არასასწავლო (დამხმარე) ინვენტარის;

- განსაზღვროს შესაძენი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის კატეგორიები;

1.1.1. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ანალიზი და ხარჯთაღრიცხვის შედგენა

- გააკეთოს ხარჯთაღრიცხვა და მოახდინოს მისი შექმნა;

1.1.2. არსებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გადახალისება (განახლება);

1.1.3 სხვადასხვა სახის ელექტრონული პროგრამების შექმნა (შექმნა) და დანერგვა;

1.1.4. ბიბლიოთეკის ანალიზი და განახლება, წიგნადი ფონდის გაზრდა გადახალისება;

1.1.5. საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის უზრუნველყოფა;

1.1.6. ბიბლიოთეკის ელექტრონული პროგრამის შექმნა და დანერგვა;

1.1.7. საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამების მუშაობის დახვეწა;

1.1.8. ბიუჯეტის პროექტის შედგენა თანამედროვე მოთხოვნების დონეზე;

მეორე შედეგის მისაღებად საჭიროა შემდეგი აქტივობები:

1.2.1. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაზრდის დაგეგმვა და მისი ფინანსური ანალიზი

1.2.2. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაზრდის პროგრამის შემუშავება

1.2.2. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაზრდის პროგრამის განხორციელების ბიუჯეტის შედგენა და სამინისტროში წარდგენა.

1.3. მესამე შედეგის მისაღებად საჭიროა შემდეგი აქტივობები:

1.3.1. დედოფლისწყაროს და ალვანის განყოფილებების შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შედგენა.

1.3.2. ალვანისა და დედოფლისწყაროს განყოფილებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციისათვის შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენა

1.3.2. ალვანისა და დედოფლისწყაროს განყოფილებების შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია.

მიზანი II:

ინსტიტუციური განვითარება

2.1: საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზა და საბიუჯეტო პროცესის დახვეწა;

2.2: სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტურობისათვის გარემოს გაუმჯობესება (მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საქმისწარმოების გაუმჯობესება);

2.3. ადამიანური რესურსების კომპეტენციების გაზრდა;

2.4: ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკის გაუმჯობესება. ახალი პრიორიტეტების წამოწყება; მართვის სტრუქტურის დახვეწა.

მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიული გეგმის წარმატებით განხორციელების შედეგად ახალი ამოცანების შესრულების საჭიროება განაპირობებს საზოგადოებრივი კოლეჯის თანამშრომლების მიერ პრინციპულად განსხვავებული კომპეტენციების ათვისების აუცილებლობას. ადამიანური რესურსების კომპეტენციის ზრდა და მართვის გაუმჯობესება მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ყველა სხვა სტრატეგიული მიზნების მიღწევას.

ა) საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის დახვეწა;

ადამიანური რესურსების რაციონალურად გამოყენების მიზნით სასურველია სტრუქტურების უფლება-მოვალეობები მაქსიმალურად დაუახლოვდეს და სინქრონიზდეს უშუალო და რეალიზებად ფუნქციებთან. ამ შედეგის მიღება უნდა მოხდეს მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის ამოცანებთან შესაბამისობაში მოყვანით. ქმედება - შედეგის მიღება ექსკლუზიურად საზოგადოებრივი კოლეჯის მაღალი დონის მენეჯმენტის ლიდერობით და იურიდიული სამსახურის მიერ კორექტირებული ნორმატიული ბაზის დახვეწით უნდა ხდებოდეს.

ბ) მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საქმისწარმოების გაუმჯობესება;

საზოგადოებრივი კოლეჯის ეფექტური საქმიანობისათვის აუცილებელია მუდმივად უმჯობესდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იმგვარად, რომ ყოველი თანამშრომლისათვის შეიქმნას ხელსაყრელი სამუშაო პირობები. სასურველია, აგრეთვე, დაიხვეწოს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა. ელექტრონული კომუნიკაციის სისტემის დახვეწამ ხელი უნდა შეუწყოს სტრუქტურების ეფექტიან საქმიანობას, რაც ამავდროულად ხელს შეუწყობს პარტნიორობებთან ურთიერთობას და გაამარტივებს ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობას.

გ) უნდა გაიზარდოს ადამიანური რესურსების კომპეტენციები;

ადამიანური რესურსების კომპეტენციის ზრდა მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია სტრატეგიული მიზნის მისაღწევად. სტრუქტურების თანამშრომლების პროფესიონალური ზრდისათვის სასურველი იქნება სტანდარტიზებული მოსამზადებელი ტრეინინგ-კურსების გავლა, რაც მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- საბიუჯეტო პროცესის სრულყოფის ტექნიკა;
- ელექტრონული კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენება.

დ) უნდა გაუმჯობესდეს ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკა;

ორგანიზაციის რეფორმირების და ეფექტიანი სტრუქტურების ფორმირებისათვის კრიტიკული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანური რესურსის მართვის სისტემას.

სტრუქტურების მაღალი დონის მენეჯმენტს შესაძლებლობა უნდა ქონდეს მოახდინოს თანამშრომლების საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება. ამისათვის გადასადგმელია შემდეგი ნაბიჯები:

- 1) სტრუქტურული ერთეულების დებულებების გადამუშავება საზოგადოებრივი კოლეჯის ხედვის, მისიის და სტრატეგიული მიზნების შესრულების ჭრილში;
- 2) სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლების სამუშაოთა აღწერილობების მომზადება;
- 3) თანამშრომლების ანგარიშგების სისტემის სრულყოფილი და მეტი სიზუსტით დაცვით წარმოება;
- 4) თანამშრომლების შედეგების ობიექტურ შეფასებაზე დაყრდნობით წახალისების სისტემის დაფუძნება.

მიზანი III:

საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყოფა

3.1: ვებ გვერდის განახლება თანამედროვე მოთხოვნატა დონეზე

3.2: საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროგრამის შემუშავება და ამოქმედება

სტრატეგიული მიზნების წარმატებით შესრულებისათვის მნიშვნელოვანია პარალელურად მომზადდეს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ადეკვატური სტრატეგია. საკომუნიკაციო სტრატეგიაში გათვალისწინებული იქნება:

- 1) საზოგადოების ინფორმირების საშუალებების შერჩევა;
 - 2) საკომუნიკაციო თემატიკის განსაზღვრა და მასალების მომზადება;
 - 3) თანამშრომლების მომზადება მოქალაქეებთან ურთიერთობისათვის;
- ბ) საზოგადოებრივი კოლეჯის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება და ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობა. დაწესებულების ვებგვერდმა უნდა შეასრულოს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქცია. მასზე განთავსებული ინფორმაციამ ამომწურავად უნდა ასახოს საზოგადოებრივი კოლეჯის საქმიანობა, საგანმანათლებლო პროცესი, სტუდენტური ცხოვრება და ყველა სიახლე. ინფორმაციის განახლება უნდა მოხდეს პერიოდულად.

მიზანი IV:

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნა და სწავლისა და სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი

4.1: შექმნილია ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების პროგრამა;

4.2: მუდმივად უნდა ხორციელდებოდეს შიდა და გარე თვითშეფასება;

4.3: ყოველწლიურად უნდა ხორციელდებოდეს დასაქმების ბაზრის კვლევა;

იმისათვის, რომ არსებობდეს სწავლისა და სწავლებისთვის კვალიფიციური გარემო აუცილებელია შეიქმნას ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სწავლებისა და სწავლის დონის მუდმივ მონიტორინგს და შეფასებას, მოვცემს ინფორმაციას სწავლების ხარისხის გაუმჯობესების დასაგეგმად და შექმნის მუდმივ და უწყვეტ პროცესს საზოგადოებრივი კოლეჯის განვითარების პროცესის შესაქმნელად;

სტრატეგიული განვითარების პროგრამა არის მექანიზმი ერთის მხრივ ხარისხის განვითარების მუდმივი პროცესის შესაქმნელად და მეორეს მხრივ სისტემური დოკუმენტი განსახორციელებელი გეგმებისა და ვადების შესახებ. ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული განვითარების პროგრამა წარმოადგენს ძირითად რგოლს საზოგადოებრივი

კოლეჯის საქმიანობის. ხარისხის გაუმჯობესების დონეზეა დამოკიდებული სწავლების, სწავლისა და ცოდნის მიმართვა დასაქმებისუნარიანობის გასაზრდელად;

შიდა თვითშეფასება მოიცავს საზოგადოებრივი კოლეჯის აკადემიური პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, ადმინისტრაციის გამოკითხვას და თვითშეფასებას, ასევე შიდა თვითშეფასება მოიცავს ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშის შევსებას;

გარე შეფასებისთვის საზოგადოებრივი კოლეჯი უზრუნველყოფს საექსპერტო ჯგუფის, არასამთავრობო ორგანიზაციის მოწვევას და ორგანიზაციულ თვითშეფასებას დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და რეკომენდაციების შემუშავებას; გარე შეფასება მოიცავს ასევე ავტორიზაციის პროცესს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში ყოველწლიურ თვითშეფასების წარდგენას;

საგანმანათლებლო პროგრამების სწორად დაგეგმვის, დასაქმების ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით, საზოგადოებრივი კოლეჯი უზრუნველყოფს დასაქმების ბაზრის კვლევას და კვლევის შედეგების გათვალისწინებას ორგანიზაციული განვითარების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების ყველა ეტაპზე.

მიზანი V:

დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვა

5.1. რამოდენიმე სახის სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება

5.2. სოფლის ტურიზმის ინფრასტრუქტურის სრულყოფა და გამოყენება დანიშნულებისამებრ.

საზოგადოებრივ კოლეჯში დაგეგმილია რამოდენიმე სახეობის სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, რაც ხელს შეუწყობს კოლეჯს მოიზიდოს დამატებითი ფინანსური სახსრები და ასევე ხელი შეუწყოს სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების გაღრმავებაში.

კოლეჯში შემუშავდება 7 ბიზნეს გეგმა:

- ❖ ღვინის წარმოება
- ❖ კენკროვნების წარმოება
- ❖ თაფლის წარმოება
- ❖ სამაცივრე მეურნეობის წარმოება
- ❖ საკონსერვო წარმოება
- ❖ მეცხოველეობის განვითარება
- ❖ აგროტურისტული საქმიანობის წარმართვა

5.3. მოსალოდნელი შედეგები

ამ მიზნების გათვალისწინებით და დასახული აქტივობებით მოსალოდნელია შემდეგი შედეგების მიღწევა:

1. სოციალური პარტნიორები და სამოქალაქო საზოგადოება სრულად და კოლეჯის ხელმძღვანელობასთან ერთად თანაბრად მონაწილეობენ კოლეჯის მართვაში, პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

2. საზოგადოებრივი კოლეჯი „აისი“ არის ეფექტური დაფინანსებისა და მართვის მქონე, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილ საგანმანათლებლო დაწესებულება; კოლეჯში სწავლა ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის მისი ასაკის, სქესის, ეთნიკური თუ სოციალური

ჯგუფისადმი მიკუთნებულობის, საცხოვრებელი ადგილის, ფსიქიკური თუ ფიზიკური შესაძლებლობების მიუხედავად;

3. კოლეჯში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები შრომის ბაზრის, არსებული და სამომავლო მოთხოვნების შესაბამისია;

4. პროფესიული მასწავლებლები მომზადებულები არიან თანამედროვე მიდგომებისა და სფეროს უახლესი მიღწევების შესაბამისად; მათ პროფესიონალიზმის ამალგებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა აქვთ, რაც ხელს უწყობს სტუდენტების მაღალ დონეზე მომზადებას და თვით-რეალიზებას;

5. ჩამოყალიბებულია სისტემა, რომელიც ხელს უწყობს კურსდამთავრებულებს მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებაში ან საკუთარი ბიზნესის წამოწყებაში.

6. კოლეჯის კურსდამთავრებულები მომზადებულები არიან დასაქმებისათვის მათთვის საინტერესო, ღირებულ და სადაც შესაძლებელია მაღალანაზღაურებად პროფესიებში, კარიერის შემდგომი განვითარების და თვით-რეალიზაციის პერსპექტივით;

7. კოლეჯში პროფესიული განათლება მიმზიდველ და რეალურ საგანმანათლებლო ალტერნატივას წარმოადგენს საზოგადოების ფართო ფენებისათვის; ახალგაზრდებისათვის ის წარმოადგენს სკოლის შემდგომი განათლების მიღების ალტერნატივას, ზრდასრულებისათვის - კარიერის განვითარების მნიშვნელოვან მექანიზმს და ახალ სპეციალობებში გადამზადების საშუალებას მათთვის, ვისაც შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიის შეცვლა სჭირდება.

8. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის წამოწყებით, ხელი ეწყობა სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების გაღრმავებაში და კოლეჯს ინფრასტრუქტურის განახლებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადართავებისათვის აქვს დამატებითი ფინანსური სახსრები.

9. კოლეჯში არის მძლავრი ტურისტული ინფრასტრუქტურა. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი სამეწარმეო პროცესებში. მალდება მათი პროფესიული უნარ-ჩვევები.

5.4. პრიორიტეტები

საზოგადოებრივი კოლეჯის „აისი“ განვითარების სტრატეგიის შედეგების მისაღწევად შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებია განსაზღვრული:

➤ კოლეჯის შესაძლებლობის გაძლიერება შრომის ბაზრის და თანამედროვე ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად:

- კოლეჯის შესაძლებლობების გაძლიერება, მაღალი ხარისხის და ეფექტური მართვის უზრუნველყოფა
- კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მოზიდვა;
- ბაზარზე ორიენტირებული, მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება
- არსებული პროგრამების დივერსიფიცირება
- შესაძლებლობების გაძლიერება ავტორიზების გზით.
- ოპტიმალური საგანმანათლებლო ქსელის ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც გეოგრაფიული, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების თვალსაზრისით; საჯარო და კერძო პროფესიულ

საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სკოლებსა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კოორდინაციისა და კომუნიკაციის გაუმჯობესება.

- საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის (შშმპ, სსმპ, ეთნიკური უმცირესობა, დევნილები, პატიმრები, პრობაციონერები, ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან და ა.შ) მრავალფეროვან საგანმანათლებლო პროგრამებზე სრული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- პროფესიული მასწავლებლების მომზადება და გადამზადება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; უნარების განახლების მიზნით რეგულარული ტრენინგების უზრუნველყოფა პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში; პროფესიული მასწავლებლის პროფესიის მიმზიდველობის გაზრდა; ახალი კადრების მოზიდვისა და არსებული კადრების შენარჩუნების და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

- სოციალური პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების სრული ჩართულობის უზრუნველყოფა პროფესიული განათლების მთელ პროცესში.

- პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხისა და გამჭვირვალების უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება; ეფექტური და ტრანსფერული კრედიტების სისტემის განვითარება, კვალიფიკაციების სერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა კვალიფიკაციების საერთაშორისო აღიარებისა და მობილობის უზრუნველსაყოფად; არაფორმალური (წინმსწრები) განათლების აღიარების სისტემის განვითარება;

- კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების გაძლიერება, როგორცაა: მაღალი ხარისხის კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის სისტემის უზრუნველყოფა; საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; სტუდენტების დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარება პრაქტიკის განმახორციელებელ ორგანიზაციებში პრაქტიკის დროს;

- სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება დამსაქმებლებთან და ზოგადად, ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობით; სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით, მათი კონკრეტული სპეციალობისათვის საჭირო პროფესიული უნარებითა და საკვანძო კომპეტენციებით აღჭურვა (სამეწარმეო უნარები, კომპიუტერის ფლობა, უცხო ენა და სხვა) .

- არსებული კანონმდებლობის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის წამოწყება, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება, სტუდენტებში პრაქტიკული სწავლების გაღრმავების და კოლეჯისათვის დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვის მიზნით.

6. ხედვა და მისია - დეფინიციები და განმარტებები

სტრატეგიული გეგმის მომზადების პროცესში ჩამოაყალიბდა ხედვა და მისია, რომლის შესაბამისადაც დაიგეგმა 2014-2020 წლებში მისაღწევი შედეგები და ამისათვის განსახორციელებელი აქტივობები.

ხედვა: გავხდეთ ლიდერი სასწავლებელი პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში, რომელიც უახლესი სტანდარტებით ხელს შეუწყობს ქვეყანაში უკეთესი ხვალისდელი დღის შექმნას.

“ხედვის” ფორმულირებისას საზოგადოებრივი კოლექტი ხელმძღვანელობდა შემდეგი პოსტულატებით:

- ხედვა წარმოადგენს ორგანიზაციის გრძელვადიან, ყოვლისმომცველ მიზანს, რომელიც მიიღწევა როგორც ორგანიზაციის მანდატით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებით, ასევე, სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;
- თავისი არსით, ხედვა ის შედეგია, რომლის მიღწევაც საზოგადოებრივი კოლექტის ძალებით შესაძლებელია;
- ხედვა გვეხმარება, რომ დავინახოთ სასურველი მომავალი ფართო და გრძელვადიან კონტექსტში, რომლის ფორმირებაშიც საზოგადოებრივ კოლექტს აქვს მნიშვნელოვანი წილი სტრატეგიული გეგმის განხორციელებით;

მისია: **თეორიული და პრაქტიკული სასწავლო საქმიანობის განხორციელებით მიზანდასახული, კონკურენტუნარიანი და მაღალი ზნეობის პროფესიონალების მომზადება.**

“მისიის“ ფორმირებისას საზოგადოებრივი კოლექტი ხელმძღვანელობდა შემდეგი მითითებებით:

- მისია წარმოადგენს უმაღლეს საფეხურს მიღწევებისა, რომლებიც საზოგადოებრივი კოლექტის მუშაობისა და ძალისხმევის შედეგია;
- მისია აკონკრეტებს იმ გზას, რითაც შესაძლებელია მიახლოება ორგანიზაციის ”ხედვასთან“;

ღირებულებები:

- მუდმივი სწრაფვა სრულყოფილებისაკენ
- გუნდური მუშაობა და თანამშრომლობა
- დემოკრატიულობა
- ტრადიციებზე დაფუძნებული ინოვაციები
- მაღალკვალიფიციური, კომპეტენტური მასწავლებლების მიერ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პროფესიული განათლების წარმართვა;
- სტუდენტთა თვითმართვებლობის ორგანოების არჩევითობა;
- პროფესიული განათლების უწყვეტობის პრინციპის განხორციელება.

7. პროფესიული განათლების გარემო

7.1. კოლექტის ახალი ინიციატივები

ზოგადად, პროფესიულ განათლებას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, უმუშევრობისა და სიღარიბის შემცირებაში, მაღალკვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის ბალანსის შენარჩუნებასა და გაძლიერებაში. პროფესიულ განათლება პოზიტიურ გავლენას ახდენს უმუშევრობაზე, კვალიფიციური კადრების მომზადებით, მეწარმეობის დაწყებისათვის, დასაქმებისა და თვითდასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების ხელშეწყობით როგორც არსებული, ასევე სამომავლო ტენდენციებისა და ტექნოლოგიების გათვალისწინებით. პროფესიული განათლება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების, რეგიონის მოსახლეობისა და იმ ჯგუფების შესაძლებლობების გაუმჯობესებასა და დასაქმება-თვითდასაქმების პერსპექტივების გაზრდას, რომელთაც წარსულში ნაკლებად ჰქონდათ განათლების ანდა დასაქმების შესაძლებლობა.

ამ ტენდენციებიდან გამომდინარე, კოლექტის ახალი ინიციატივებია: თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება, დაფინანსების გაზრდა და ხარჯვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, კოლექტის

აკადემიური, ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიის უზრუნველყოფა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა.

7. 2. პროფესიული განათლების ძირითადი გამოწვევები

1. სოციალური პარტნიორობისა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა კოლეჯის პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

კოლეჯის და ზოგადად პროფესიული განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა დაინტერესებულ მხარეებთან მუდმივი დიალოგის საფუძველზე მძლავრი პროფესიული განათლების სისტემის ჩამოყალიბება და განვითარება. სოციალური პარტნიორობის ჩართულობა ნაკლებია. გამოწვევაა სოციალური პარტნიორობის სისტემაში ჩართვის, მათი მოტივირების უზრუნველყოფა. მათი მონაწილეობა - გადაწყვეტილებების მიღების, საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დანერგვისა და მონიტორინგის პროცესში. სოციალური პარტნიორები კრიტიკულად არიან განწყობილები იმასთან დაკავშირებით, რომ კოლეჯს შეუძლია შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება, ხოლო კოლეჯის კურსდამთავრებულებს დასაქმება მნიშვნელოვან და კარგად ანაზღაურებად პოზიციებზე.

პრობლემაა მონიტორინგის ერთიანი სისტემის არ არსებობა (სტატისტიკა, ინდიკატორები და ანალიზი), რაც ხელს შეუწყობდა პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესში მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას.

2. კოლეჯებს შორის სუსტი ქსელი როგორც გეოგრაფული ხელმისაწვდომობის, ასევე საგანმანათლებლო პროგრამების/დისციპლინების მრავალფეროვნების თვალსაზრისით.

არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფული ხელმისაწვდომობა შეზღუდულია. გარკვეულად წინააღმდეგობრივია მიდგომა, ერთის მხრივ გაუმჯობესდეს რეგიონალური დაფარვა, დაკმაყოფილდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები, წახალისდნენ ადგილობრივი სტუდენტები და მეორეს მხრივ სპეციალობები მეტად დაუახლოვდეს კონკრეტული სპეციალობების პოტენციურ დამსაქმებლებს. საჭიროა საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის კავშირის გაძლიერება, კოლეჯების წახალისების პოლიტიკის შემუშავება.

პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისათვის უმნიშვნელოვანესია დაფინანსების საკითხი; ეს განსაკუთრებით ეხებათ მოწყვლად ჯგუფებს და იმ საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა სწავლებისათვის ძვირადღირებული აღჭურვილობა და მასალებია საჭირო;

3. საგანმანათლებლო პროგრამების ნაკლები შესაბამისობა საქართველოს მზარდი და ცვალებადი შრომის ბაზრის ამჟამინდელ და სამომავლო მოთხოვნებთან

პროფესიული სტანდარტების მომზადება უნდა იყოს დინამიური პროცესი, ვინაიდან ტექნოლოგიების, მომხმარებლისა და ბაზრის მოთხოვნების უწყვეტი ცვლილება დროთა განმავლობაში უნარების დახვეწასა და გაუმჯობესებას საჭიროებს.

სტუდენტები და დამსაქმებლები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფრაგმენტულობაზე მიუთითებენ. პროგრამები ძირითადად ტრადიციულია, რაც ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნების მიმართ მათ ნაკლებად მოქნილს ხდის. მოზარდებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოსაყალიბებლად პროგრამების ხანგრძლივობა ხშირად არასაკმარისია, ხოლო ზრდასრულთათვის შინაარსია არარელევანტური, რადგან ნაკლებად შეესაბამება შრომის ბაზრის არსებულ თუ სამომავლო მოთხოვნებს და ტექნოლოგიებს. საგანმანათლებლო პროგრამებში ძირითადი აქცენტი კეთდება პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე და ნაკლები-საკვანძო კომპეტენციების ინტეგრირებაზე. ნაკლებია სოციალური პარტნიორების ჩართულობა პროგრამის შემუშავების პროცესში. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მიმართ მიდგომა დეცენტრალიზებულია, თუმცა მათი მომზადებისათვის საჭირო შესაძლებლობების გაუმჯობესების ღონისძიებები - არასაკმარისი.

4. პედაგოგიური კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემის განვითარება თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად; პროფესიული მასწავლებლის პროფესიაში შესვლისა და სისტემაში დარჩენის სტიმულირება

დღეისათვის არ არსებობს პროფესიული მასწავლებლების მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული გადამზადების სისტემა. პროფესიული მასწავლებლების მომზადება სისტემის დონეზე არ ხდება, რაც უზრუნველყოფდა ახალი და კვალიფიციური კადრების უწყვეტ განვითარებას; იგივე ითქმის მასწავლებელთა უწყვეტ პროფესიულ მომზადებაზე. პროფესიული მასწავლებლების დასაქმების ამჟამინდელი პრაქტიკა არ არის წამახალისებელი, და გარკვეულად ეწინააღმდეგება კიდევ კვალიფიციური პროფესიული მასწავლებლების მომზადებისათვის საჭირო მიდგომას. მათ შორისაა მოკლევადიანი და წყვეტილი შრომითი ხელშეკრულებები, დაბალი ანაზღაურება, პროფესიული განვითარების შესაძლებლობა და სხვა. სწავლება-შეფასების საკითხებთან დაკავშირებული გარკვეული ტრენინგები ხელმისაწვდომია, თუმცა ნაკლებად ხდება მასწავლებლების შესაძლებლობების გაძლიერება კონკრეტული დარგების მიხედვით ანდა სპეციალობის ფარგლებში. შედეგად, სწავლების ხარისხი განსხვავდება, რაც გარკვეულწილად საგანმანათლებლო რესურსების არათანაბარი ხელმისაწვდომობითაცაა განპირობებული (აღჭურვილობა, მასალები, პრაქტიკული სწავლების ბაზა). საჭიროა კოლეჯის მასწავლებელთა კომპეტენციების და პრაქტიკის შეფასება პროგრამების მიხედვით, რათა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად და ხარისხის გასაუმჯობესებლად შესაძლებელი გახდეს შესაბამისი ინოვაციური მიდგომების დანერგვა .

5. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს დასაქმების განსხვავებული პერსპექტივები აქვთ კარგად ანაზღაურებად და პიროვნულად საინტერესო პოზიციებზე კარიერის შემდგომი განვითარების პერსპექტივით

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების დასაქმებისთვის მომზადებასა და დასაქმებაზე მთელი რიგი ფაქტორები ახდენს გავლენას. მათ შორისაა პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი, ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და მინიჭებული კვალიფიკაციების ნაკლები მნიშვნელობა როგორც დასაქმების, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების თვალსაზრისით.

კოლეჯი ნაკლებად ეხმარება კურსდამთავრებულებს საკუთარი ბიზნესის წამოწყებასა და ბიზნესის მართვის პროცესში. ბევრი პროფესიული სტუდენტისათვის სწავლის პროცესში გავლილი პრაქტიკა მუშაობის თვალსაზრისით პირველი გამოცდილებაა, თუმცა ამგვარი პრაქტიკა ნაკლებად შეესაბამება რეალურ, უწყვეტ სამუშაო გარემოს მოთხოვნებს; ზრდასრულებს მუშაობის მეტი გამოცდილება აქვთ და სამუშაო გარემოც მათთვის უფრო ნაცნობია, თუმცა მაინც საჭიროა მათთვის ინფორმაციის მიწოდება არჩეული კარიერის გამოწვევების თუ შესაძლებლობების შესახებ. კურსდამთავრებულების თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის მართვის უნარების განვითარება, ფინანსური თუ მარეგულირებელი მოთხოვნების ცოდნა და იმისათვის მომზადება, რომ მომხმარებლისათვის არა მხოლოდ პროდუქტის თუ სერვისების მიწოდებაა საკმარისი, არამედ მნიშვნელოვანია მომავალი მომხმარებლის მოთხოვნილებების გათვალისწინება და სერვისის ალტერნატიულ მიმწოდებლებთან კონკურენციის გაწევა.

პროფესიული კურსების შერჩევასა და სწავლის დაგეგმვისას სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანია კარიერული რჩევების/კონსულტაციის მიღება როგორც სწავლის დაწყებამდე, ასევე სწავლის პროცესში. ეს პროცესი სრულდენტის მახასიათებლებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს და სტუდენტებს ინფორმაცა მიეწოდოს მათი დასაქმების პერსპექტივების შესახებ. კარიერული განვითარებისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემა სუსტია როგორც პროფესიული განათლების დაწყებამდე (რაც სკოლის მოსწავლეებისათვის და მოზარდებისათვის უზრუნველყოფილ უნდა იყოს სკოლაში, ხოლო ზრდასრულებისათვის პროგრამაზე ჩარიცხვამდე), ასევე სწავლის პროცესში (როდესაც დისციპლინის ფარგლებში ხდება არჩევანის გაკეთება, ანდა დასაქმების პერსპექტივების გაცნობა). არსებული კარიერული ორიენტაცია უფრო მეტად ორიენტირებულია იმაზე, რომ სასწავლებლებს საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტების ჩარიცხვაში დაეხმაროს და ნაკლებად იმაზე, რომ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსი შეუსაბამოს აბიტურიენტების პიროვნულ შესაძლებლობებს, ანდა სტუდენტების შესაძლებლობები შეუსაბამოს მათი დასაქმების შესაძლებლობას და კარიერულ განვითარებას.

6. პროფესიული განათლება ნაკლებად მიმზიდველი და წამახალისებელი ალტერნატივაა მოსახლეობისათვის; დამსაქმებლები კადრების შერჩევას პროფესიულ განათლებას შერჩევას წინაპირობად ნაკლებად განიხილავენ

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული განათლების მიმართ დამოკიდებულება იცვლება და მასზე მოთხოვნაც იზრდება, ბევრი სკოლადამთავრებულისათვის თუ მოსწავლისათვის ის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს აკადემიური განათლების თანასწორ ან უფრო მიმზიდველ

საგანმანათლებლო ალტერნატივას; ასევე, ზრდასრულებისათვის, რომელთაც არასტაბილური დასაქმების პრობლემა აქვთ, პროფესიული განათლება ნაკლებად განიხილება შემოსავლის მომტან თუ კარიერული განვითარების ალტერნატივად. ამგვარი უარყოფითი დამოკიდებულების გამომწვევ მიზეზებს შორისაა: წარსულში პროფესიული განათლების დაბალი ხარისხი, პროფესიული განათლების ამჟამინდელი ხარისხი და შესაბამისობა, საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა. საერთო ჯამში ნაკლებია პროფესიული განათლების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობა. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საინფორმაციო ცენტრებს შეზღუდული რესურსები აქვთ ინფორმაციის მიწოდებისა და კარიერული კონსულტაციის თვალსაზრისით სკოლის მოსწავლეებისათვის, სტუდენტებისა და ზრდასრულებისათვის. დაბალია ადგილობრივი თვითმმართველობების ინფორმირება პროფესიული განათლების თუ მიმდინარე რეფორმების შესახებ.

მნიშვნელოვანია კოლეჯში ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც თანაბარ ყურადღებას მიაქცევს როგორც ზრდასრულთა განათლების საჭიროებას, ასევე ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოვებას. ამისათვის სჭირია პროფესიული განათლება უკეთ მოერგოს სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების, განსხვავებული სამუშაო გამოცდილების, შესაძლებლობებისა და უნარების მქონე პირების საჭიროებებს; ეს უკანასკნელი მოიცავს შშმპ, სხვადასხვა ფიზიკური და ფსიქიკური საჭიროების მქონე პირებს, სხვადასხვა სოციალურ და ეკონომიკურ პირობებში მცხოვრებ პირებს და ა.შ. საჭიროა მეტი აქცენტის გაკეთება მოზარდებისა და ზრდასრულების საკვანძო კომპეტენციების განვითარებაზე, რაც მათი სოციალური და კარიერული განვითარებისათვისაა მნიშვნელოვანი.

8. კოლეჯის რესურსების ანალიზი და პროფესიული გარემოს შეფასება (S W O T)

ძლიერი მხარეები:

- ❖ პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება;
- ❖ გამოცდილი მასწავლებელთა და სამეურნეო პერსონალი;
- ❖ განახლებული საორგანიზაციო სტრუქტურა და მართვის სისტემა;
- ❖ მასწავლებელთა რესურსის რეფორმისადმი მზაობა;
- ❖ სტუდენტებისა და თანამშრომლების ფართო მონაწილეობა კოლეჯის მართვის პროცესში
- ❖ კრედიტების დაგროვების სისტემის შემოღება
- ❖ შეფასების ახალი სისტემა;
- ❖ ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება;
- ❖ ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა;
- ❖ თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ❖ სტუდენტთა თვითმმართველობა;

სუსტი მხარეები:

- ❖ ფინანსური რესურსების სიმცირე;
- ❖ ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის სიმცირე;
- ❖ უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის გამოყენების დაბალი დონე (უცხო ენების არცოდნა, ბიბლიოთეკის შეზღუდული შესაძლებლობები, ამ მხრივ სტუდენტთა მოტივაციის დაბალი დონე და სხვ);
- ❖ კურსდამთავრებულთა დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობა;
- ❖ საერთაშორისო აკრედიტაციის არარსებობა;
- ❖ მასწავლებელთა პერსონალის გადამზადების სისტემის აუცილებლობა;
- ❖ სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების არასაკმარისი დონე;
- ❖ სასწავლო პროგრამების არასრულფასოვნება;
- ❖ ხარისხის კულტურის დეფიციტი;

შესაძლებლობები:

- ❖ საერთაშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრაცია;
- ❖ პროგრამების დივერსიფიკაცია
- ❖ უცხოელი პარტნიორების მხრივ არსებული ინტერესი და დახმარება
- ❖ სწავლებისა და სწავლის ხარისხის უზრუნველყოფისათვის შესაბამისი საორგანიზაციო სტრუქტურის ჩამოყალიბება
- ❖ მასწავლებელთა გადამზადების სისტემის შექმნა
- ❖ დეცენტრალიზაციის გაძლიერება
- ❖ სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო მოდელის შექმნა
- ❖ პერსონალის მოტივაციის გაზრდა (დაინტერესება)
- ❖ სასწავლო პროგრამების განახლების უწყვეტობა
- ❖ საერთაშორისო აკრედიტაციის მიღწევა

საფრთხეები:

- ❖ დასაქმების დაბალი დონე;

9. სტრატეგიის დანერგვის ფინანსური ხარჯები

ფინანსური ხარჯები შეფასებულია და წარმოდგენილია 2014-2020 წლების სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმაში.

სტრატეგიის განხორციელების ხარჯები დაფარული იქნება შემდეგი წყაროებიდან:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან, იმ ხარჯების ფარგლებში, რომელიც დამტკიცებული იქნება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ
- უცხოელი დონორებისა და პარტნიორების მიერ მხარდაჭერილი ტექნიკური და ფინანსური დახმარების პროექტებიდან და პროგრამებიდან;
- კერძო სექტორის მონაწილეობა;

- სპონსორები და სხვა წყაროები, რომელიც გათვალისწინებულია მოქმედ კანონმდებლობაში.

- კერძო შემოსავლებიდან.

პრიორიტეტული ღონისძიებების განსაზღვრა და მათი გათვალისწინება სტრატეგიულ ხარჯებში განხორციელება კოლეჯისათვის გამოყოფილი დაფინანსების მიხედვით, რომელსაც ითვალისწინებს ამჟამად არსებული საბიუჯეტო დაგეგმვა, ხოლო საქმიანობების წლიური დაფინანსება განხორციელება სახელმწიფო ბიუჯეტში კოლეჯისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში და/ან სხვა დამატებითი წყაროებიდან.

10. სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა

სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმა მთავარი მექანიზმია სტრატეგიის სისტემატური და უწყვეტი განხორციელებისათვის და მოიცავს მის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ ამოცანებს, დაგეგმილ ღონისძიებებს, ფინანსებს და იმ პირებს, რომლებიც პასუხისმგებელი არიან მის განხორციელებაზე.

ეს გეგმა მოიცავს მოკლე (2014-15), საშუალოვადიან (2016-2017) და გრძელვადიან (2018-2020) ღონისძიებებს. განხორციელების გეგმა საკმაოდ მოქნილია, რაც იძლევა მასში ცვლილებების შეტანის საშუალებას ვითარების შეცვლისა და იმ პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, რომელიც დააბრკოლებს სტრატეგიის განხორციელებას. რეკომენდირებულია მისი შეფასება 2 წელიწადში ერთხელ (განსაკუთრებით 2016 წლიდან) და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

11. სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ინსტიტუციონალური საფუძვლები ითვალისწინებს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს:

1. კოლეჯის ადმინისტრაცია და სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს სტრატეგიის განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასების პროცესს, ასევე გააანალიზებს მიღწეულ შედეგებს და არსებულ პრობლემებს, შეიმუშავებს ბარიერების გადალახვის გზებს და უზრუნველყოფს სტრატეგიის განხორციელებას გეგმის მიხედვით;
2. დამსაქმებლებს და საწარმოების წარმომადგენლებს;
3. სამოქალაქო საზოგადოებას, პარტნიორებს, რომლებიც დამოუკიდებლად განახორციელებენ სტრატეგიის დანერგვის პროცესის მონიტორინგს, ასევე შემოგვთავაზებენ პროცესის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სხვადასხვა წინადადებებს.

განხორციელება მონიტორინგის შემდეგი ღონისძიებები:

1. წლიური მონიტორინგი და ანგარიშგება, რომელიც ითვალისწინებს დეტალურ ანგარიშგებას ერთწლიანი პერიოდისათვის;
2. ნახევარწლიური მონიტორინგი და შედეგების შესახებ ანგარიშგება;
3. საბოლოო მონიტორინგი და ანგარიშგება სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შესახებ სტრატეგიის განხორციელების მთლიან პერიოდში.

ჩამოყალიბდება მონიტორინგისა და შეფასების თანმიმდევრული ერთიანი სისტემა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საქართველოს ეროვნული განვითარების

სტრატეგიასთან და მთავრობის პროგრამასთან. მონიტორინგისათვის გამოყენებული იქნება კოლეჯის მიერ შესაბამისი ინდიკატორების საფუძველზე შეგროვილი მონაცემები.

მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები საჯარო იქნება და განთავსდება კოლეჯის ვებგვერდზე. კოლეჯის ადმინისტრაცია სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით და თავისი ვებგვერდის გამოყენებით საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას მიღწეული პროგრესის შესახებ.

12. სტრატეგიის განხორციელების შესახებ კომუნიკაცია და ინფორმირების ღონისძიებები

იმ რეფორმების წარმოჩენისა და კოლეჯის საზოგადოებისათვის უკეთ გაცნობის მიზნით, რომელთა განხორციელება დაიწყო აღნიშნულ სტრატეგიაზე დაყრდნობით, ასევე სტრატეგიის განხორციელების დანიშნულების, მოქმედების სფეროსა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით, მუდმივად განხორციელდება სტრატეგიის შესახებ კომუნიკაციისა და ინფორმირების ღონისძიებები ორი მიმართულებით:

1. ცნობადობის ამაღლების კამპანია, რომელიც ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფების ინფორმირებულობას სტრატეგიისა და მისი სასარგებლო შედეგების შესახებ;
2. მხარდაჭერის კამპანია, რომელიც წარმოადგენს ინფორმირებისა და კომუნიკაციის ღონისძიებების გაგრძელებას, რომლის მიზანია უკვე განხორციელებული კომუნიკაციის შედეგების განმტკიცება, საზოგადოების ინტერესის და კოლეჯის ცნობადობის გაზრდა და შენარჩუნება.

სტრატეგია შემუშავებულია კოლეჯის დირექტორის 2014 წლის 4 მარტის N11 ბრძანებით სტრატეგიის შემუშავებელი გუნდის მიერ: ნათელა პაპუნაშვილი, მალხაზ ასლამაზაშვილი, თამარ ლაზაშვილი, ლელა ბერიაშვილი, დავით პაპაშვილი, ბესიკ ზირაქაშვილი, მარინე შიშნიაშვილი, კობა მთავრიშვილი.